

საქართველო

ადიგენის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 17

25 მაისი 2009 წ.

დაბა ადიგენი

“ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 9 თებერვლის №4 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

**“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ**

დ ა ა დ გ ი ნ ა

მუხლი 1. დამტკიცდეს შემდეგი ცვლილებები “ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 9 თებერვლის №4 დადგენილებაში :

1. დადგენილების პირველი და მეორე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) “**მუხლი 1.** ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2. 540. 500 (ორი მილიონ ხუთასორმოცი ათას ხუთასი) ლარით (დანართი №1)”

ბ) “**მუხლი 2.** ადიგენის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 2. 540. 500 (ორი მილიონ ხუთასორმოცი ათას ხუთასი) ლარით (დანართი №2)”

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად - გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

/გრ. გიგაშვილი/